ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. "მეტრა გრუპ ჯორჯია"

საფუძველი: 30.09.2013წ. №07/13273692-16 განცხადება

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი-სამგორი, მაისურაძის ქუჩა №11

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 28.05.2013წ. №695101 (AR1119333)

საკადასტრო კოდი: №01.19.20.004.021; №01.19.20.004.022;

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური კომპლექსის №2 კორპუსი

IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (15.10.13) დადგინდა:

„10-5" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „10-6" მონაკვეთში ვიტრაჟების წინ დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. „8-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი წყალშემკრები მილი.

„თ-ლ" ფასადი: -3.00 ნიშნულზე, „თ-ი" მონაკვეთში კედელში გაუქმებულია ორი ღიობი და დამატებულია ორი წყალშემკრები მილი. ±0.00 ნიშნულზე „თ-ი" მონაკვეთში შემცირებულია კარის სიმაღლე დაახლოებით 0.8 მ-ით და კარის თავზე გაზრდილია ვიტრაჟის სიგრძე 0.2 მ-ით. +7.50 ნიშნულის ქვევით „თ-თ" ღერძზე ფასადზე არ არის ნაჩვენები აივნის ფილის ქვეშ რიგელი. +30.60 ნიშნულზე „თ-კ" მონაკვეთში შეცვლილია აივნების თავზე გადახურვის ქანობები აწეულია მისი სიმაღლე 0.2 მ-ით და შეცვლილია მათი ნახატი. +30.60 „თ-ი" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.

„5-10" ფასადი: -3.00 ნიშნულზე, „6-7" ღერძებს შორის ფასადი შეუვსებელია და არ არის მოწყობილი ფანჯარა და კარი, ასევე -3.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ამწე მექანიზმი. +7.50 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. „10-10" ღერძთან ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.

„ლ-თ" ფასადი: +30.60 ნიშნულზე, „ი-თ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ცხაური. +24.00 და +27.30 ნიშნულზე ვიტრაჟებში ორი ფრამუგა შეუმინავია და დამატებით მოწყობილია გისოსი.

-3.00 ნიშნულზე, „6-5" მონაკვეთში „ლ-კ" ღერძებს შორის პანდუსის ქვეშ დამატებით მოწყობილია სათავსი დაახლოებით 36 მ^2 ფართზე. ±0.00

ნიშნულზე „9-10“ მონაკვეთში და +24.00 ნიშნულზე „ი-ლ“ მონაკვეთში ტერასების კაპიტალურ მოაჯირზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი.

შეამოწმა : _____ ი. ჩიტაძე

_____ ნ. კობახიძე